ბრძანება

N 04/76

76-01-4-201703281613

28/03/2017

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილება 2017 წლის 9 თებერვლის N01/121 განცხადების საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ

1. პროცედურული და ფაქტობრივი გარემოებები

ა) განცხადება

2017 წლის 9 თებერვალს, საქართველოს კონკურენციის სააგენტოში (შემდგომში „სააგენტო“), წარმოდგენილ იქნა ინდმეწარმე ლევან ხორგუაშვილის (პირადი №59001009516), ინდმეწარმე ვლადიმერ პაპიტაშვილის (პირადი №59001022593), ინდმეწარმე თინათინ ჭიღლაძის (პირადი №59001102998), ინდმეწარმე ლიზა კალმახელიძის (პირადი №43001005374), ინდმეწარმე ლაშა ძიძიგურის (პირადი №59001101622), ინდმეწარმე დარეჯან ბზიშვილის (პირადი №59001041156), ინდმეწარმე დათო თურმანიძის (პირადი №59001036189), შპს „ჯეირანის“ (საიდენტიფიკაციო კოდი 417876506), შპს „ფორტუნას“ (საიდენტიფიკაციო კოდი 417877186), შპს „კახაბერისა“ (საიდენტიფიკაციო კოდი 417877211) და შპს „მომსახურების სააგენტოს“ (საიდენტიფიკაციო კოდი 417879816) ერთობლივი განცხადება შპს „კატენას“ მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) მე-6 და 11^3 მუხლების სავარაუდო დარღვევის შესახებ (განცხადების რეგ. № 01/121).

განცხადების თანახმად, განმცხადებლები ქალაქ გორში ეწევიან ტაქსებით მომსახურების საქმიანობას. განმცხადებლები ასევე უთითებენ, რომ დაახლოებით 2017 წლის თებერვლის თვიდან შპს „კატენა“ (შემდგომში - „კატენა“) ამავე ქალაქში გეგმავს ანალოგიური საქმიანობის დაწყებას.

განმცხადებლების ინფორმაციით, „კატენა“ ფუნქციონირებს საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი), როგორც ტაქსების მომსახურების გამწევი კომპანია „მაქსიმი“ (შემდგომში - „მაქსიმი“). „მაქსიმი“ მომხმარებელს საწყის ეტაპზე სთავაზობს ძალიან დაბალ ტარიფებს, მათი მოზიდვის მიზნით, ხოლო მძღოლებს უხდის დანამატს ორი-სამი თვის მანძილზე, რათა ამ

უკანასკნელებმა მასთან იმუშავონ. ამ ქმედებებმა რიგი ტაქსო-კომპანიების სრული გაკოტრება გამოიწვია, დანარჩენებმა კი დიდი ფინანსური ზარალი განიცადეს. შესაბამისად, განმცხადებელები მიიჩნევენ, რომ „კატენას“ შესვლა ქალაქ გორში გამოიწვევს ქალაქში არსებული კომპანიების გაკოტრებას, მათ ბაზრიდან განდევნას, „კატენას“ მიერ ერთპიროვნული მონოპოლიის მოპოვებასა და მომსახურების ტარიფის გაზრდას.

განცხადებაში სულ მითითებულია 8 პირი, რომელთაც შეუძლიათ ზემოხსენებული ფაქტების დადასტურება. აღნიშნული პირები წარმოადგენენ ქუთაისსა და ბათუმში არსებული დაზარალებული ტაქსო-პარკის ხელმძღვანელებსა და ინდივიდუალურ მეწარმეებს, რომლებიც ეწეოდნენ/ეწევიან ტაქსებით მომსახურების საქმიანობას.

ბ) სააგენტოს მიერ მოძიებული დამატებითი ინფორმაცია

განცხადება 2017 წლის 13 თებერვლის № 02/243 წერილით გადაეგზავნა მოპასუხედ დასახელებულ კომპანია „კატენას“. ინფორმაცია ასევე გადაგზავნილ იქნა განმცხადებლების მიერ დასახელებულ პირებთან, რომლებსაც ეთხოვათ განცხადებაში აღწერილ გარემოებებთან დაკავშირებით მათ ხელთარსებული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარდგენა.

2017 წლის 17 თებერვალს, „კატენამ“ № 01/173 წერილით უპასუხა განცხადებას და აღნიშნა, რომ ის არ ახორციელებს მგზავრთა გადაყვანის მომსახურებას. „კატენამ“ განმარტა, რომ ის არის კონტაქტ-ცენტრი, რომელიც შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს შემკვეთის მისამართზე შემოსული ინფორმაციის მიღების, მისი დამუშავებისა და მანქანით წაკითხვად ფორმატში გადაყვანის სამუშაოებს.

„კატენამ“ ასევე აღნიშნა, რომ დაუსაბუთებელია განმცხადებლების მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და 11^3 მუხლების დარღვევაზე აპელირება, რადგან მისი საქმიანობა რადიკალურად განსხვავდება განმცხადებელთა საქმიანობისგან. შესაბამისად, ის არ წარმოადგენს განმცხადებლების კონკურენტ ეკონომიკურ აგენტს. ამავდროულად, მას დომინირებული მდგომარეობა არ უკავია არც იმ ბაზარზე, რომელზეც საქმიანობს.

განცხადებაში მითითებულ პირებს - ქალაქ ქუთაისსა და ქალაქ ბათუმში დაზარალებული ტაქსო-პარკების ხელმძღვანელებსა და ინდივიდუალურ მეწარმეებს, განცხადების დასაშვებად ცნობის ეტაპზე, სააგენტოსთვის არ მიუწოდებიათ გამოთხოვილი ინფორმაცია ან მტკიცებულებები სავარაუდო დარღვევის შესახებ.

გ) შეხვედრები

საქმის დეტალებში სრულყოფილად გარკვევის მიზნით, სააგენტომ 2017 წლის 6 და 22 მარტს გამართა შეხვედრები „კატენასთან“ და განმცხადებლებთან, რომელთა ფარგლებშიც მოხდა განმცხადებლისა და მოპასუხის საქმიანობის მიმართულებებზე

მსჯელობა, სავარაუდო დარღვევის ნიშნების გამოკვეთა და შესაბამისი მტკიცებულებების გამოთხოვა (მოხსენებითი ბარათი N03/99; 22.03.2017). შეხვედრების ფარლებში გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

გ.ა) შეხვედრა „კატენასთან“

„კატენამ“ დააზუსტა საკუთარი მომსახურების სპეციფიკა. კერძოდ, ეს კომპანია წარმოადგენს ქოლ-ცენტრს, რომელსაც გაფორმებული აქვს ე.წ. „ინფორმაციის მიღებისა და კითხვად ფორმატში გადაყვანის“ სტანდარტული ხელშეკრულება საკუთარ კლიენტებთან - ტაქსის კომპანიებთან. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე ის კლიენტი კომპანიებისთვის ახორციელებს შემდეგი სახის მომსახურებას:

1. „კატენა“ უფასოდ უმონტაჟებს მისი კლიენტი კომპანიების ტაქსებს სპეციალურ აპლიკაციას, რომლის მეშვეობითაც მძღოლებს შეუძლიათ შეკვეთების მიღება;
2. ამავდროულად, ხდება კლიენტ კომპანიებში შემოსული ზარების გადამისამართება იმგვარად, რომ ტაქსის კომპანიასთან დაკავშირებისას, მგზავრობის მსურველი პირის მიერ განხორციელებული ზარი ხვდება „კატენას“ ქოლ-ცენტრში;
3. „კატენას“ ქოლ-ცენტრის ოპერატორი პასუხობს კლიენტს, ამუშავებს მის მოთხოვნას, შეჰყავს ის სპეციალურ სისტემაში და ქმნის შეკვეთას;
4. შეკვეთა გადაეგზავნება იმ ტაქსის კომპანიის მძღოლს, რომელი ტაქსის კომპანიის ნომრიდანაც შემოვიდა შეკვეთა კატენას „ქოლ-ცენტრში“. ტექსტი იგზავნება მძღოლის მანქანაში ჩამონტაჟებულ აპლიკაციაში, მძღოლისთვის წაკითხვად ფორმატში. ქოლ-ცენტრის ყველა ოპერატორი ემსახურება ყველა კლიენტ კომპანიას - კონკრეტული კლიენტებისთვის ცალკე გამოყოფილი ოპერატორები „კატენას“ არ ყავს.
5. მძღოლისთვის შეკვეთის გაგზავნიდან მის მიერ მგზავრის აყვანამდე პერიოდში „კატენას“ ქოლ-ცენტრი აკონტროლებს, დასთანხმდა თუ არა რომელიმე მძღოლი შეკვეთის მიღებას, ასევე მოახერხა თუ არა მძღოლმა შემკვეთი პირის მოძებნა და ა.შ.
6. ყველა ზემოთ აღწერილი მომსახურების სანაცვლოდ, კლიენტი კომპანიები იხდიან საფასურს მათი კომპანიის ნომრებზე განხორციელებული ზარების რაოდენობის მიხედვით. ზარი განხორციელებულად ითვლება, თუ ის 10 წამზე მეტხანს გრძელდება.

„კატენას“ დადგენილი აქვს გადახდის შემდგომი სისტემა - თვის დასაწყისში, ყველა კლიენტი კომპანია იხდის სტანდარტულ საფასურს, რომელიც დაკავშირებულია თვის განმავლობაში კომპანიის მიერ სავარაუდოდ განსახორციელებელი ზარების რაოდენობასთან. თუ თვის განმავლობაში განხორციელებული ზარების რაოდენობა მეტია წინსწრებით გადახდილ თანხაზე, კლიენტი კომპანია ავსებს დანაკლისს. თუ განხორციელებული ზარების რაოდენობა ნაკლებია წინსწრებით გადახდილ თანხაზე, მაშინ ნაშთი გადადის შემდეგი თვის ანგარიშში. „კატენას“ ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს და ანაზღაურებას იღებს მხოლოდ კლიენტი კომპანიებისგან - კომპანიას მძღოლებთან კავშირი არ აქვს ფინანსური კუთხით.

„კატენას“ კლიენტად გახდომა შეუძლია ნებისმიერ კომპანიას, რომელსაც სურს მისი ქოლ-ცენტრის მომსახურებით სარგებლობა. ამასთან დაკავშირებით კომპანიამ აღნიშნა, რომ დაფუძნების შემდგომ (2013 წლიდან) მან ინტერნეტით მოიძია და შეეხმიანა ტაქსის ბაზარზე მისთვის ცნობილ ყველა კომპანიას და შესთავაზა საკუთარი მომსახურება, თუმცა მხოლოდ ზოგიერთი დასთანხმდა ამ შეთავაზებას. დღესდღეობით, „კატენას“ ჰყავს რამდენიმე კლიენტი, მათ შორის „მაქსიმი“.

ინდმეწარმეები „კატენას“ კლიენტებს შორის არ არიან, მიუხედავად იმისა, რომ „კატენა“ მათაც სთავაზობს მომსახურებას. „კატენას“ მოსაზრებით, ეს იმიტომ ხდება, რომ მის მიერ გასაწევი მომსახურება ტაქსის კომპანიებისთვის უფრო მომგებიანია ეკონომიის გაწევის (საკუთარი ქოლ-ცენტრის ოპერირების ხარჯების თავიდან აცილების) კუთხით. შესაბამისად, „კატენა“ ძირითად მარკეტინგულ გათვლას სწორედ ამ უკანასკნელებზე აკეთებს.

გეოგრაფიული თვალსაზრისით, „კატენას“ ქოლ-ცენტრი მდებარეობს მხოლოდ თბილისში, თუმცა მისი კლიენტების მიერ ათვისებული არეალის მიხედვით, კომპანია მომსახურებას ეწევა როგორც თბილისში, ასევე რუსთავში, ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდსა და ფოთში. „კატენა“ ამ ქალაქების მომსახურებას თავს წარმატებით ართმევს თბილისის ოფისიდან და არ გეგმავს დამატებითი ქოლ-ცენტრის გახსნას.

„კატენასა“ და მის კლიენტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ამ უკანასკნელებს არ ეზღუდებათ სხვა მის მსგავს კომპანიებთან თანამშრომლობა, ან ალტერნატიული აპლიკაციის ქონა. „კატენასთვის“ ცნობილია, რომ არსებობს რამდენიმე ასეთი აპლიკაცია, რადგან აღნიშნული აპლიკაციების ზოგიერთმა მომხმარებელმა კომპანიამ უარი უთხრა „კატენას“ ხელშეკრულების გაფორმებაზე.

შეხვედრის შემდგომ, „კატენამ“ წერილობით (N01/325, 14.03.2017) წარმოადგინა დამატებითი ინფორმაცია, რომლითაც დააზუსტა შეხვედრაზე განხილული ზოგიერთი დეტალი, კერძოდ:

1. იმ 30 კომპანიის ჩამონათვალი, რომლებთანაც „კატენას“ ჰქონდა კონტაქტი საკუთარი მომსახურების შეთავაზების მიზნით.
2. იმ ალტერნატიული პროგრამების ჩამონათვალი, რომელთა გამოც „კატენას“ უარი ეთქვა ამ კომპანიების მხრიდან ხელშეკრულებების გაფორმებაზე. კერძოდ, პროგრამები „ოპტიუმი“, „ტაქსი ქულერი“, „იანდექსი“. „კატენამ“ ასევე აღნიშნა, რომ უარის თქმის საფუძველს რიგ შემთხვევებში წარმოადგენდა რაციების სისტემის ქონაც.

გ.ბ) შეხვედრა განმცხადებლებთან

განმცხადებლების მოსაზრებით, მათი და „კატენას“ საქმიანობა ანალოგიურია. ისინი აღნიშნავენ, რომ „კატენას“ მსგავსად არ ფლობენ ტაქსოპარკს და მათი ძირითადი საქმიანობაა გამოძახების მიღება და მძღოლისთვის გადაცემა.

განმცხადებლებმა ძირითად პრობლემად დაასახელეს ქალაქ გორში ახლად შესული „კატენას“ მიერ მათი მძღოლების გადაბირების რისკი, გადახდის სპეციალური სქემის მეშვეობით, რომელიც საწყის ეტაპზე წამგებიანი იქნება „კატენასთვის“, მაგრამ მომგებიანი იქნება როგორც კლიენტისთვის, ისე მძღოლისთვის. აღნიშნული სქემა გულისხმობს მძღოლისთვის გამოძახების შესრულებისას გარკვეული თანხის გადახდას, მისგან პროცენტის მოთხოვნის მაგივრად, იმის სანაცვლოდ, რომ ეს უკანასკნელი კონკურენტებზე იაფად მოემსახუროს კლიენტს. მაგალითად, თუ მარშუტის ღირებულება სხვა კონკურენტებთან 1.50 ლარი და მეტია, „კატენას“ მიერ ხდება ტარიფის 1 ლარამდე დაწევა, იმ პირობით, რომ თუ მძღოლი კლიენტს 1 ლარად მოემსახურება, 1 ლარს დამატებით მიიღებს „კატენასგან“. აღნიშნულის შედეგად, კლიენტი იღებს იაფ მომსახურებას, მძღოლი კი - მეტ გასამრჯელოს. სწორედ ამიტომ, კლიენტებს აქვთ მოტივაცია, ისარგებლონ სწორედ „კატენას“ მომსახურებით, ხოლო მძღოლებს აქვთ მოტივაცია, იმუშავონ სწორედ „კატენაში“. განმცხადებლები შიშობენ, რომ „კატენა“ სწორედ ამ სქემით იმოქმედებს ქალაქ გორში. მათი მტკიცებით, ამავე სქემის გამოყენებით მოახერხა „კატენამ“ქუთაისისა და ბათუმის ტაქსებით მომსახურების ბაზრებზე თავის დამკვიდრება და იქ არსებული ეკონომიკური აგენტების გაკოტრება თუ დაზარალება.

განმცხადებლები ასევე შეეხნენ „კატენასა“ და „მაქსიმს“ შორის კავშირს. მათი მოსაზრებით, „მაქსიმი“, როგორც ცალკე კომპანია, არ არსებობს (არაა რეგისტრირებული) და კატენა მოქმედებს მისი საშუალებით. რაც შეეხება „კატენას“ დანარჩენ კლიენტ კომპანიებს, განმცხადებლების მოსაზრებით, ესაა კომპანიები, რომლებიც „კატენამ“ ჯერ გააკოტრა, ხოლო შემდგომ მათთან ხელშეკრულებები დადო, რათა თვითონ მისი მონაწილეობა არ გამოჩენილიყო ტაქსებით მომსახურების ბაზარზე.

განმცხადებლებმა ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ მათ არ ეშინიათ „კატენასთან“ ჯანსაღი კონკურენციისა, თუმცა უფრთხიან ზემოთ აღწერილი სქემით მათგან მძღოლებისა და კლიენტების გადინების საფრთხეს, რადგან მსგავსი შემთხვევები უკვე დადგა ქალაქ ქუთაისსა და ქალაქ ბათუმში. ამავდროულად, განცხადებლები აღიარებენ, რომ ვერ იდავებენ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თაობაზე (კანონის მე-6 მუხლი), რადგან „კატენა“ ახლაღა შემოდის ქალაქ გორში ტაქსებით მომსახურების ბაზარზე, ხოლო არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან მიმართებით (კანონის მე-11[3] მუხლი) ამ ეტაპზე არ გააჩნიათ კონკრეტული მტკიცებულებები. შესაბამისად, კონკურენციის სააგენტოში მათ მიერ განცხადების წარმოდგენა ატარებდა პრევენციულ ხასიათს.

რაც შეეხება დაზარალებულ ეკონომიკურ აგენტებს ქალაქ ქუთაისსა და ქალაქ ბათუმში, განმცხადებლები თვლიან, რომ მათი მხრიდან კონკურენციის სააგენტოსთვის შესაბამისი ინფორმაციის მიუწოდებლობა უიმედობით აიხსნება - გაკოტრებული კომპანიები თვლიან, რომ მათ უკვე არაფერი ეშველებათ და შესაბამისად, პროცესში ჩართვა არ სურთ. ამავდროულად, განმცხადებლები ხედავენ, რომ სააგენტოში არ არსებობს არც ერთი ხელჩასაჭიდი მტკიცებულება ქალაქი ქუთაისისა და ქალაქი ბათუმის ბაზრებთან მიმართებით მოკვლევის დასაწყებად.

საბოლოოდ, განმცხადებლებს არ წარმოუდგენიათ არც ერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მათ მიერ აღწერილ კავშირს „კატენასა“ და „მაქსიმს“ შორის. მათ მხოლოდ აღნიშნეს, რომ ქალაქ გორში გაიხსნა არა „კატენას“, არამედ „მაქსიმის“ ოფისი.

2. საქართველოს კანონმდებლობა

ა) მატერიალური მხარე

კანონის მე-2 მუხლის თანახმად, მისი მიზანია საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა. კანონის მე-16 მუხლის მიხედვით, კონკურენციის პოლიტიკის განსახორციელებლად იქმნება სააგენტო, მე-17 მუხლით კი დადგენილია სააგენტოს საქმიანობის პრინციპები, კერძოდ: დამოუკიდებლობა, არადისკრიმინაციულობა, მიუკერძოებლობა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება. აღნიშნული პრინციპებიდან გამომდინარე, სააგენტოს საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მისი გადაწყვეტილება საჯარო უნდა იყოს.

კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, დაუშვებელია ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტის მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად კი, დომინირებული მდგომარეობა არის შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტების, მიმოწოდებლების, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია.

კანონის მე-11[3] მუხლის მიხედვით, არაკეთილსინდისიერი კონკურენცია დაუშვებელია. არაკეთილსინდისიერ კონკურენციად ითვლება ეკონომიკური აგენტის ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს კონკურენციას, მათ შორის, შემსყიდველის, მიმწოდებლის, მისი თანამშრომლის ან გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირის მოსყიდვა, რომ მან დამქირავებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ ან მომხმარებლის ინტერესების უგულვებელყოფით იმოქმედოს (ქვეპუნქტი „ვ“), ასევე ბოიკოტისკენ მოწოდება (ქვეპუნქტი „ზ“).

კანონის 33-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ მე-6 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში ეკონომიკურ აგენტს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 5 პროცენტს. კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტოს ასევე შეუძლია ეკონომიკურ აგენტს მოსთხოვოს განხორციელებული ქმედების ამ კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

ბ) პროცედურული მხარე

კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ეკონომიკურ აგენტთან მიმართებით სააგენტო უფლებამოსილია აწარმოოს საქმის მოკვლევა წარდგენილი განცხადების ან/და საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით, საქმესთან დაკავშირებით მოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, მოიწვიოს ექსპერტები, მოითხოვოს განხორციელებული ქმედების კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, კანონის დარღვევის შემთხვევაში დააკისროს ეკონომიკურ აგენტს შესაბამისი ჯარიმა.

კანონის 22-ე მუხლის თანახმად, სააგენტოში განცხადების წარდგენის უფლება აქვს განმცხადებელს, რომელიც მხარედ არ განიხილება.

სააგენტო კანონის 23-ე მუხლის შესაბამისად, განცხადების დასაშვებობის საკითხის შესწავლის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას საქმის მოკვლევის დაწყების ან მის დაწყებაზე უარის თქმის თაობაზე. ამავდროულად, „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-5 ბრძანების (შემდგომში „საქმის მოკვლევის წესი“) მე-2 მუხლის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია დაიწყოს საქმის მოკვლევა განცხადების ან საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. ***საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ.***

„განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესი და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-1 ბრძანების (შემდგომში „განცხადების წარდგენის წესი") მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო განცხადებას შეისწავლის მისი შემოსვლიდან 30 დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში სააგენტოს გამოაქვს გადაწყვეტილება განცხადების დასაშვებად ცნობის ან მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ.

უარის შესახებ გადაწყვეტილება საჩივრდება კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავით დადგენილი წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში.

3. სამოტივაციო ნაწილი

ა) ზოგადი მოცემულობა

სააგენტო პირველ რიგში აღნიშნავს, რომ განცხადებაში საუბარია ორ განსხვავებულ დარღვევაზე: დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასა (მუხლი 6) და არაკეთილსინდისიერ კონკურენციაზე (მუხლი 11^3). შესაბამისად, განცხადების დასაშვებად ცნობისა და მოკვლევის დაწყებისთვის საჭიროა შემდეგი:

მე-6 მუხლთან მიმართებით, პირველ რიგში, წინასწარი მონაცემებით უნდა დასტურდებოდეს, რომ "კატენას" უკავია დომინირებული მდგომარეობა შესაბამის ბაზარზე. ამის შემდგომ, უნდა კმაყოფილდებოდეს გონივრული ეჭვის სტანდარტი აღნიშნული ეკონომიკური აგენტის მიერ განსახილველ ბაზარზე იმგვარად მოქმედების შესახებ, რომელიც შესაძლოა დაკვალიფიცირდეს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად. ამასთან, ლოგიკური ვარაუდი დომინირებული მდგომარეობის ქონის თაობაზე, რეალურ დროში არსებული მოცემულობა უნდა იყოს - კანონმდებლობის შესაბამისად, სააგენტო ვერ დაადგენს დარღვევას იმ ეკონომიკურ აგენტთან მიმართებით, რომელმაც შესაძლოა მომავალში მოიპოვოს დომინირებული მდგომარეობა.

11^3 მუხლთან მიმართებით, გონივრული ეჭვის სტანდარტი უნდა დაკმაყოფილდეს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შემცველი ქმედებების არსებობის ნაწილშიც. იმისათვის, რომ გარკვეული ქმედება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ნიშნების შემცველად ჩაითვალოს, ის უკვე განხორციელებული უნდა იყოს. სააგენტო არაკეთილსინდისიერ კონკურენციად ვერ ჩათვლის ჯერ კიდევ განუხორციელებელ ქმედებებს. თუმცა, თუ არსებობს აღნიშნული ქმედებების განხორციელების დასაბუთებული რისკი, სააგენტოს შეუძლია რეკომენდაცია მისცეს ეკონომიკურ აგენტს, აღნიშნული ქმედებებისგან თავის შეკავების თაობაზე.

ბ) გონივრული ეჭვის სტანდარტი, როგორც მოკვლევის დაწყების საფუძველი

სააგენტო აღნიშნავს, რომ მოკვლევის დაწყება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის ხელთარსებული ინფორმაცია/დოკუმენტები აკმაყოფილებს გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს, რომელიც მოკვლევის დაწყების აუცილებელი წინაპირობაა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობით არ არის განმარტებული გონივრული ეჭვის სტანდარტი. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს, როგორც კონკურენციის სამართლის აღმასრულებელ და კონკურენციის პოლიტიკის განმახორციელებელ ორგანოს, უფლება აქვს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა განცხადება/საჩივარი გონივრული ეჭვის სტანდარტს. ამასთან, სააგენტო ყურადღებით აფასებს განცხადებაში მოცემულ ინფორმაციას და დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს განცხადების დასაბუთებულობას. კერძოდ, თუ რამდენად შეიცავს განცხადება კონკურენციის კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის მტკიცებულებებს და რომელი ზიანის თეორია იკვეთება. გარდა ამისა, სააგენტოსთვის მნიშვნელოვანია შეზღუდული ადმინისტრაციული რესურსების მობილიზება ისეთ საქმეებზე, სადაც მოკვლევის შედეგად მეტად სავარაუდოა სამართალდარღვევის დადგენა. საბოლოოდ, ფასდება მოპასუხის/მოპასუხეთა მიერ წარმოდგენილი საპირწონე არგუმენტები და მტკიცებულებები, ისევე როგორც საჯარო წყაროებიდან მოპოვებული სხვა ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა საქმისათვის გამოსადეგი იყოს, და გადაწყვეტილება დასაშვებობისა თუ დაუშვებლობის შესახებ გამოდის სააგენტოში მოგროვილი ინფორმაციის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე. საჭიროების შემთხვევაში,

სააგენტოს, დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტამდე, საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ასევე შეუძლია გამოითხოვოს ინფორმაცია მესამე პირებისგან. აღნიშნული ინფორმაციის ერთობლიობის საფუძველზე, სააგენტო დაადგენს, არსებობს თუ არა გონივრული ეჭვი, რომელიც გაამართლებდა მოკვლევის დაწყებას.

ვინაიდან საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობაში არ არის განმარტებული გონივრული ეჭვი, სააგენტო გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყურადღებას აქცევს ევროკომისიის პრაქტიკასა და ანალოგიური ტერმინის ევროპულ განმარტებას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს განმცხადებლის ფორმალურ სტატუსს. ევროკომისიის სახელმძღვანელოში კონკურენციის სამართლის პროცედურის კუთხით[1] ევროკომისია მიესალმება სხვადასხვა ორგანიზაციების მხრიდან კონკურენციის სამართლის შესაძლო დარღვევაზე ინფორმაციის მიღებას, თუმცა ასევე განსაზღვრავს ამ ორგანიზაციების უფლებების ფარგლებს. მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ მომჩივნისთვის დადგენილ მაღალ სტანდარტს, უფლება აქვთ კომისიას მიაწოდონ **ინფორმაცია ბაზრის შესახებ, თუმცა კომისიას არ აქვს არავითარი ვალდებულება, რეაგირება მოახდინოს ასეთ ინფორმაციაზე.** თუკი ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც იწყება მოკვლევა, არ კვალიფიცირდება საჩივრად, მაშინ მოკვლევა დაწყებულად ითვლება კომისიის ინიციატივით (მიუხედავად იმისა, თუ რა როლი შეეძლო ეთამაშა წერილის/განცხადების სახით მიღებულ ინფორმაციას). ეს არ ნიშნავს, რომ ევროკომისია იგნორირებას უკეთებს მსგავს ინფორმაციას. პირიქით, ხშირია შემთხვევები, რომ მსგავსი განცხადების შემდეგ კომისია იწყებს დაკვირვებას შესაბამის ბაზარზე, სხვადასხვა ეკონომიკურ ინდიკატორზე, შესაძლოა გამოითხოვოს ინფორმაცია ეკონომიკური აგენტებისგან და როდესაც ექნება დასაბუთებული ეჭვი კონკურენციის სამართლის დარღვევის შესაძლო დარღვევის შესახებ, მხოლოდ მას შემდეგ იწყებს მოკვლევის ფორმალურ პროცედურას.

განმცხადებლისგან განსხვავებით, ევროკავშირის კანონმდებლობა ითვალისწინებს მომჩივნის ფორმალურ სტატუსს. მომჩივანს კონკურენციის კანონმდებლობის (შესაძლო) დარღვევის შედეგად უნდა ადგებოდეს ზიანი და მასვე ევალება შესაძლო სამართალდარღვევის შესახებ მტკიცებულებების წარმოდგენა. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაშიც კი, ევროკომისიას აქვს მოკვლევის დაწყების შესახებ დისკრეცია.

ევროკავშირში, ფორმალურად დასაშვებ საჩივარს (რომელიც შევსებულია კომისიის მიერ დადგენილი ფორმის მიხედვით) შესაძლოა ეთქვას უარი დაუსაბუთებლობის გამო, როდესაც ის არ/ვერ წარმოადგენს მინიმალურ წინასწარ *(prima facie)* მტკიცებულებასაც კი, რაც დაადასტურებდა ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 101-ე ან

[1] Antitrust Manual of Procedures, Internal DG Competition working documents on procedures for the application of Articles 101 and 102 TFEU, March 2012; თავი 21-ე, წარმოება საჩივართან დაკავშირებით, პარაგრაფი 1; (იხ. http://ec.europa.eu/competition/antitrust/information_en.html).

102-ე მუხლების (შენიშვნა: „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და მე-7 მუხლების ანალოგები) დარღვევის ერთ ან რამდენიმე წინაპირობას[2].

ევროკომისიის ნოტა ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 101-ე და 102-ე მუხლების შესაბამისად პროცედურების წარმართვის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ[3] განმარტავს, რომ "კონკურენციის სამართლის ყველა საქმე, მიუხედავად მათი დაწყების საფუძვლებისა, გადის **პირველადი შეფასების** ფაზას. ამ ფაზის დროს, **კომისია ამოწმებს, იმსახურებს თუ არა საქმე შემდგომ მოკვლევას** [...]". ასევე, **„პრაქტიკაში, პირველადი შეფასებების სისტემა ნიშნავს, რომ ზოგიერთი საქმე შეწყდება წარმოების ძალიან ადრეულ ეტაპზე, რადგან ისინი არ იმსახურებენ შემდგომ შესწავლას.“**

ევროკომისიის ნოტა ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 81-ე და 82-ე მუხლების შესაძლო დარღვევის შესახებ საჩივრებზე რეაგირების შესახებ[4] განმარტავს, რომ „საჩივრის მიღების პირველ ეტაპზე, კომისია შეისწავლის საჩივარს და აგროვებს დამატებით ინფორმაციას, იმის გადასაწყვეტად, თუ რას მოიმოქმედებს შემდგომ. ამ დროს ხდება ინფორმაციის არაფორმალური გაცვლა კომისიასა და საჩივრის ავტორს შორის, სადაც უფრო დეტალურად დგინდება საჩივარში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები და იურიდიული საკითხები. ამ დროს, კომისიას შეუძლია, უკვე გამოხატოს პირველადი პოზიცია საჩივრის შესახებ, რაც **საშუალებას მისცემს საჩივრის ავტორს, განავრცოს ან/და დააზუსტოს იგი.**“

ზემოხსენებული ნოტა ასევე იმეორებს, რომ **„ევროკომისია არ არის ვალდებული, ყველა საჩივრის შესახებ მოკვლევა დაიწყოს“** და რომ **„იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი აკმაყოფილებს ფორმა C-ის[5] მოთხოვნებს, მაგრამ საკმარისად ვერ ასაბუთებს მასში აღნიშნულ ბრალდებებს, კომისიას ამ საფუძვლით მისი უარყოფა შეუძლია.“**

და ბოლოს, კონკრეტული საჩივრის უარყოფა არ ნიშნავს იმის დადგენას, რომ საჩივარში დასმული საკითხები (მატერიალური კუთხით) არ არღვევს 101/102 მუხლებს. ეს უბრალოდ ნიშნავს, რომ კომისიამ ამ ეტაპზე აღნიშნული საჩივარი დაუსაბუთებლად

---

[2] Antitrust Manual of Procedures, Internal DG Competition working documents on procedures for the application of Articles 101 and 102 TFEU, March 2012; თავი 21-ე, წარმოება საჩივართან დაკავშირებით, ნაწილი 3.1.2; (იხ. http://ec.europa.eu/competition/antitrust/information_en.html).

[3] Commission notice on best practices for the conduct of proceedings concerning Articles 101 and 102 TFEU (იხ. http://ec.europa.eu/competition/consultations/2010_best_practices/best_practice_articles.pdf), პარა. 11-12.

[4] Commission Notice on the handling of complaints by the Commission under Articles 81 and 82 of the EC Treaty, (ამჟამინდელი 101 და 102 მუხლები; იხ. http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A52004XC0427(04), პარა. 47, 53 და 55.

[5] ევროკომისიის მიერ დადგენილი საჩივრის ფორმა.

ჩათვალა, რაც არ გამორიცხავს მოგვიანებით კომისიის, ეროვნული კონკურენციის ორგანოს ან სასამართლოს მიერ იმავე საფუძვლით დარღვევის დადგენას.[6]

მართალია, ევროკავშირის პრაქტიკაში გონივრული ეჭვის სტანდარტი განმარტებულია საჩივართან მიმართებით, თუმცა აღსანიშნავია, რომ საქართველოს რეალობაში, განსხვავებით ევროკავშირისგან, განცხადებისა და საჩივრის მიმართ გამოიყენება დასაშვებობის ერთნაირი პროცედურა. საქართველოს კანონმდებლობა, ევროკავშირისგან განსხვავებით, სააგენტოს უდგენს ფორმალურ ვალდებულებას, მოახდინოს რეაგირება ნებისმიერ შემოსულ განცხადებაზე, კერძოდ, შეაფასოს მათი ფორმალური და შემდგომში, მატერიალური დასაშვებობა.

ამავდროულად, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კანონმდებლობა სააგენტოს ანიჭებს **კონკურენციის პოლიტიკის დამოუკიდებლად განხორციელების უფლებამოსილებას.** ამდენად, წარმოუდგენელი იქნებოდა, სააგენტოს ნებისმიერი განცხადების შესახებ მოკვლევის დაწყება რომ ევალებოდეს. შესაბამისად, საქართველოში გონივრული ეჭვის სტანდარტი მოქმედებს როგორც საჩივართან, ისე განცხადებასთან მიმართებით.

გ) გონივრული ეჭვის სტანდარტის დაუკმაყოფილებლობა მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან მიმართებით

მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევის ნაწილში, განმცხადებლების პოზიციით, არსებობს რისკი, რომ ქალაქ გორში ტაქსებით მომსახურების ბაზარზე შესვლისას „კატენა“ ბოროტად გამოიყენებს საკუთარ დომინირებულ მდგომარეობას, რადგან მსგავსი რამ უკვე განხორციელდა ქალაქ ქუთაისსა და ქალაქ ბათუმში. ამავდროულად, განმცხადებლები უთითებენ, რომ „კატენა“ ქალაქ გორში მოქმედებს „მაქსიმის“ საშუალებით.

„კატენას“ პოზიციით, ის არ არის ტაქსებით მომსახურების ბაზრის მონაწილე, რადგან ახორციელებს მხოლოდ ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და მანქანით წაკითხვად ფორმატში გადაყვანის მომსახურებას. ამავდროულად, აღნიშნულ ბაზარზეც მას არ უკავია დომინირებული მდგომარეობა, რადგან არსებობს როგორც რამდენიმე კონკურენტი აპლიკაცია, ასევე რაციების სისტემა, რომლებსაც ტაქსის კომპანიები დღემდე იყენებენ. საბოლოოდ, „მაქსიმთან“ მას მხოლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობა აკავშირებს, რომლის საფუძველზეც „კატენა“ ამ უკანასკნელს საკუთარ მომსახურებას აწვდის.

არც განმცხადებლებისგან და არც განცხადებაში დასახელებული სხვა პირებისგან, „მაქსიმის“ ან „კატენას“ მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასთან მიმართებით, კონკრეტული ინფორმაცია სააგენტოში წარმოდგენილი არაა.

---

[6] იხ. Commission Notice on the handling of complaints by the Commission under Articles 81 and 82 of the EC Treaty, პარა. 72.

ხსენებულის გათვალისწინებით, სააგენტო მიიჩნევს, რომ კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან მიმართებით, **გონივრული ეჭვის სტანდარტი ვერ კმაყოფილდება რამდენიმე გარემოების გამო:**

განმცხადებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ქალაქ გორის ტაქსებით მომსახურების ბაზარზე საქმიანობას იწყებს „მაქსიმი“, თუმცა კომპანიამ მხოლოდ ძალიან მცირე ხნის წინ გახსნა ოფისი გორში და ჯერჯერობით არ არსებობს არანაირი ინფორმაცია მისი მხრიდან დარღვევის განხორციელებაზე. „მაქსიმის“ მხრიდან ამ ეტაპზე გორში კონკურენციის კანონმდებლობის საწინააღმდეგო ქმედებების განუხორციელებლობა აღიარეს თავად განმცხადებლებმაც სააგენტოში გამართულ შეხვედრაზე.

რაც შეეხება განცხადებაში დასახელებულ, ქუთაისსა და ბათუმში მოქმედ ე.წ. დაზარალებულ პირებს, მათგან არც ერთს არ წარმოუდგენია მტკიცებულებები აღნიშნულ ქალაქებში ტაქსებით მომსახურების ბაზარზე არსებული სავარაუდო დარღვევების შესახებ.

განმცხადებლების მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში არაფერია იმის დასადასტურებლად, რომ არსებობს რაიმე კავშირი „კატენასა“ და „მაქსიმს“ შორის, გარდა პარტნიორული/სახელშეკრულებო კავშირისა. „კატენას“ პოზიციით, ის არ წარმოადგენს ტაქსომოტორულ კომპანიას და არ ფუნქციონირებს ტაქსებით მომსახურების ბაზარზე, არამედ აწვდის ამ ბაზარზე მოქმედ კომპანიებს მათთვის საჭირო მომსახურებას ქოლ-ცენტრის მეშვეობით. განმცხადებლებს არ წარმოუდგენიათ აღნიშნული მტკიცების საწინააღმდეგო რაიმე გარემოება. ამავდროულად, არ არსებობს საკმარისი ინფორმაცია/მტკიცებულებები იმის დასადგენად, არის თუ არა „კატენა“ დომინირებული მდგომარეობის მქონე კომპანია. ამის საპირისპიროდ, თავად „კატენას“ მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მას კონკურენციას უწევს რამდენიმე აპლიკაცია - პროგრამები „ოპტიუმი“, „ტაქსი ქულერი“, „იანდექსი“. როგორც „კატენამ“ შეხვედრისას და შეხვედრის შემდგომ წერილში აღნიშნა, მის მიერ პოტენციური კლიენტების დაკონტაქტების პროცესში ბევრმა ტაქსის კომპანიამ უარი თქვა მასთან ხელშეკრულების გაფორმებაზე, სწორედ კონტაქტის ალტერნატიული საშუალებების ქონის გამო.

ამასთან, განმცხადებლების ვარაუდი, რომ „კატენა“ „მაქსიმის“ მეშვეობით სამომავლოდ გეგმავს დომინირებული მდგომარეობის მოპოვებას გორის ტაქსებით მომსახურების ბაზარზე და აღნიშნული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, ასევე ვერ გამოდგება მოკვლევის დაწყების საფუძვლად, რადგან სააგენტოში მოკვლევა იწყება და დარღვევა დგინდება უკვე არსებული დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასთან და არა სამომავლო დარღვევებთან მიმართებით.

ამავდროულად, ხაზგასმითაა აღსანიშნავი, რომ თუ განმცხადებლების ვარაუდი სამომავლოდ რეალობა გახდა და დარღვევის ფაქტები დაფიქსირდა, მათ არ ეზღუდებათ სააგენტოსთვის ხელახლა მიმართვის უფლება. სააგენტოს შეეძლება მოკვლევის დაწყება მას შემდეგ, როდესაც მის ხელთარსებული მტკიცებულებები დააკმაყოფილებენ გონივრული ეჭვის სტანდარტს.

დ) გონივრული ეჭვის სტანდარტის დაუკმაყოფილებლობა კანონის 11^3 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან მიმართებით

განმცხადებლები არაკეთილსინდისიერ კონკურენციად მიიჩნევენ „კატენას“ მხრიდან კლიენტებისთვის დაბალი ფასის შეთავაზებას და პარალელურად მძღოლებისათვის კლიენტის მიერ მიღებული ანაზღაურებაზე თანხის დამატებას, რისი მეშვეობითაც კონკურენტებისგან ხდება, როგორც კლიენტების, ისე მძღოლების გადინება. კომპანიების ვარაუდით, მოკლევადიან პერიოდში „კატენა“ მიაღწევს კონკურენტების გაკოტრებას, ხოლო შემდგომ მოახდენს ფასების აწევას.

ამავდროულად, განმცხადებლებთან შეხვედრის შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული ტიპის ქმედებებს ქალაქ გორში ადგილი ჯერ-ჯერობით არ ჰქონია. განმცხადებლები ამას იმით ხსნიან, რომ „მაქსიმი“ (რომელიც, მათი მტკიცებით, „კატენას“ მიერ კონტროლდება) გორის ბაზარზე ახალი შესულია. ამავდროულად, ისინი უთითებენ კომპანიის ანალოგიურ ქმედებებზე ქალაქ ქუთაისსა და ქალაქ ბათუმში.

როგორც უკვე აღინიშნა, განმცხადებელთა მიერ მითითებულ 8 პირს, რომლებსაც აღნიშნულის დადასტურება შეეძლოთ, გადაეგზავნათ ინფორმაციის გამოთხოვის წერილები. თუმცა სააგენტოსათვის არც ერთ მათგანს არ წარუდგენია შესაბამისი ინფორმაცია. ამდენად, ამ ეტაპზე სააგენტოში არ არსებობს დამატებითი მტკიცებულება ან/და მონაცემები, რომელიც „მაქსიმის“ ან „კატენას“ მხრიდან აღნიშნული ქმედებების განხორციელების ფაქტს დაადასტურებს.

სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, კანონის 11^3 მუხლის საფუძველზე მოკვლევის დასაწყებად საჭიროა გონივრული ეჭვი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შემცველი ქმედების განხორციელების შესახებ. თუმცა იმისთვის რომ მოკვლევა დაიწყოს, უნდა არსებობდეს გონივრული ეჭვი შესაბამისი ქმედების პრაქტიკაში უკვე განხორციელების შესახებ.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ამ ეტაპზე არსებობს მხოლოდ განმცხადებლების ეჭვი, ქალაქ გორში აღნიშნული ქმედებების პოტენციურად განხორციელების თაობაზე და სააგენტოში საქმის წარმოების გზით, განმცხადებლები ცდილობენ სამომავლო დარღვევათა პრევენციას. ამავდროულად, არ არსებობს შესაბამისი მტკიცებულებები „კატენას“ მიერ ქალაქ ქუთაისსა და ქალაქ ბათუმში მსგავსი ქმედებების განხორციელების შესახებ.

სააგენტოს პოზიციით, ამ მოცემულობაში, რომ ვერ კმაყოფილდება გონივრული ეჭვის სტანდარტი „კატენას“ მიერ კანონის 11^3 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით.

ე) შეჯამება

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ განცხადება ვერ

აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მატერიალური დასაშვებობის სტანდარტებს (მათ შორის, გონივრული ეჭვის სტანდარტს) და მის საფუძველზე, ამ ეტაპზე მოკვლევის დაწყებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს.

ამასთანავე, სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განცხადების დასაშვებობაზე უარის თქმა არ ნიშნავს, რომ სააგენტო მხედველობაში არ იღებს მასში მითითებულ ფაქტებს. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას, რომ განცხადების დაუშვებლად ცნობა არ უთანაბრდება მასში მოყვანილი შესაძლო სამართალდარღვევის არარსებობის შესახებ დასკვნას. სააგენტო, ნებისმიერ დროს, გონივრული ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, როგორც ახალი განცხადების/საჩივრის, ასევე საკუთარი ინიციატივით, უფლებამოსილია დაიწყოს მოკვლევა შესაბამის ბაზარზე.

სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17[1] მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების, 24-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესი და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-1 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-12 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-5 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

სააგენტომ დაადგინა:

1. ინდმეწარმე ლევან ხორგუაშვილის (პირადი № 59001009516), ინდმეწარმე ვლადიმერ პაპიტაშვილის (პირადი № 59001022593), ინდმეწარმე თინათინ ჭიღლაძის (პირადი № 59001102998), ინდმეწარმე ლიზა კალმახელიძის (პირადი № 43001005374), ინდმეწარმე ლაშა ძიძიგურის (პირადი № 59001101622), ინდმეწარმე დარეჯან ბზიშვილის (პირადი № 59001041156), ინდმეწარმე დათო თურმანიძის (პირადი № 59001036189), შპს „ჯეირანის“ (საიდენტიფიკაციო კოდი 417876506), შპს „ფორტუნას“ (საიდენტიფიკაციო კოდი 417877186), შპს „კახაბერისა“ (საიდენტიფიკაციო კოდი 417877211) და შპს „მომსახურების სააგენტოს“ (საიდენტიფიკაციო კოდი 417879816) 2017 წლის 9 თებერვლის ერთობლივი განცხადება არ იქნას დასაშვებად ცნობილი.
2. განმცხადებლებს უარი ეთქვათ წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე.

3. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი №6).

4. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით ჭიჭინაძე

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი